შპს „კურსი.ჯი“-ის მომსახურებით სარგებლობის წესები და პირობები

თარიღი: 17 სექტემბერი 2024 წელი.

პრეამბულა

წინამდებარე „წესები და პირობები“ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას (შემდგომში „შეთანხმება“) შპს „კურსი.ჯი“-ისა (შემდგომში „სისტემა“, „ჩვენ“ ან „კომპანია“) - საქართველოში და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სარეგისტრაციო ნომრით: 405031040, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ.ფალიაშვილის ქ. N 61, ბ. 5 და კლიენტს შორის.

წინამდებარე შეთანხმების მიზანია განსაზღვროს ძირითადი პირობები და დებულებები კლიენტსა და კომპანიას შორის ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციასთან დაკავშირებით (შემდგომში „მომსახურება“). სისტემა მომსახურებას განახორციელებს მას შემდეგ, რაც კლიენტი შეასრულებს მასთან გადარიცხვის ოპერაციას, სასურველი ვალუტის ყიდვის მოთხოვნით. კლიენტზე გავრცელდება წინამდებარე შეთანხმება, დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც ის განახორციელებს გადარიცხვის ოპერაციას კომპანიის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

ამ შეთანხმების გარდა, კლიენტსა და კომპანიას შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით.

წინამდებარე წესები და პირობები თავის მხრივ, გულისხმობს გენერალურ ხელშეკრულებას, რომლის მხარეებია კომპანიის კლიენტი და კომპანია. კლიენტი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის მოთხოვნისას ადასტურებს, რომ იცნობს ვალუტის ყიდვა - გაყიდვის კურსს, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე, პირობებს და ასევე, ადასტურებს, რომ წაიკითხა, გონივრული განსჯის შედეგად მისაღებია და ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს.

ყველა კლიენტი, ვისაც სურს ისარგებლოს სისტემის მომსახურებით, თანხის გადარიცხვის ოპერაციის განხორციელებით ავტომატურად ეთანხმება წინამდებარე წესებსა და პირობებს.

სისტემა მომსახურებებს უწევს ფიზიკურ პირებს, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს.

ტერმინთა განმარტება

მომსახურება - ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია.

ვალუტის ყიდვა – უცხოური ვალუტის შესყიდვა ლარით ან კომპანიის მიერ შეთავაზებული სხვა უცხოური ვალუტით.

ვალუტის გაყიდვა – უცხოური ვალუტის გაყიდვა ლარზე ან კომპანიის მიერ შეთავაზებული სხვა უცხოური ვალუტაზე.

საყურადღებო კურსი – კურსი, რომლის დროსაც ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობა აღემატება 3%-ს ან როდესაც ვალუტის შესყიდვის ან/და გაყიდვის კურსი 3%-ით ან მეტით არის გადახრილი იმ დღისათვის არსებულ სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსიდან.

კლიენტი - იურიდიული პირი, ინდივიუალური მეწარმე, ფიზიკური პირი, რომელიც კომპანიის ვებ.გვერდის გამოყენებით ახორციელებს ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციას.

დანიშნულება - კლიენტის მიერ საკუთარ მობაილ/ინტერნეტ ბანკში გადარიცხვის ოპერაციის მიზნის მითითება, რაც გულისხმობს ტრანზაქციის დანიშნულებას და სადაც სასურველია მიეთითოს „კონვერტაცია“.

ვებ.გვერდი - კომპანიის ვებ.გვერდი - http://kursi.ge/ რომელიც არის ინფორმაციის წყარო და სადაც სხვა ინფორმაციასთან ერთად თვალსაჩინოდ განთავსებულია ვალუტის კონვერტაციის კურსი, სამუშაო საათები და წინამდებარე წესები და პირობები.

ანგარიში – კლიენტის ან/და კომპანიის საბანკო ანგარიში, ინფორმაციის უნიკალური ნაკრები, რაც შეიცავს კლიენტის პირად მონაცემებს, ისევე როგორც სხვა შესაბამისი ინფორმაცია და რომლსი გამოყენებითაც სრულდება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია.

პერსონალური მონაცემები ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, გვარით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით.

სამუშაო დღე – ნებისმიერი დღე, გარდა შაბათისა და კვირისა, ოფიციალური დასვენების დღეებისა, როგორც ამას განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა ან ნებისმიერი დღე, როცა კომპანია არ მუშაობს, რის შესახებაც კლიენტს ეცნობება წინასწარ.

სამუშაო საათები - სამუშაო დღის მონაკვეთი 10:00 - 19:00 საათამდე, რომლის განმავლობაშიც კომპანია უზრუნველყოფს კლიენტისთვის მოსახურების გაწევას შეუფერხებელად და დროის მოკლე მონაკვეთში.

სერვისის გამოყენება კლიენტის მიერ

კლიენტს შეუძლია ერთჯერადად ან/და მრავალჯერადად გასცეს მომსახურების მიღების მოთხოვნა, საკუთარი მობაილ/ინტერნეტ ბანკიდან კომპანიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შედეგად.

კომპანია ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს კლიენტს მას შემდეგ რაც კლიენტი განახორციელებს გადარიცხვის ოპერაციას კომპანიის საბანკო ანგარიშზე და ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მიზნით.

კლიენტი ვალდებულია გადარიცხვის ოპერაცია განახორციელოს მულტისავალუტო ანგარიშიდან, რათა კომპანიამ შეუფერხებლად შეასრულოს მისგან მიღებული მოთხოვნა.

მომსახურება

კომპანია უზრუნველყოფს კლიენტისთვის სასურველი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციას, საბანკო ანგარიშზე თანხის მიღებისა და მოთხოვნილი ვალუტის შესაბამისი თანხის კლიენტისთვის გადარიცხვის გზით.

კლიენტმა მომსახურების მოთხოვნა კომპანიას უნდა მიაწოდოს, საკუთარი მობაილ/ინტერნეტ ბანკის საშუალებით, ვებგვერდზე განთავსებული ინსტრუქციის შესაბამისად, საკუთარი მულტისავალუტო ანგარიშიდან სასურველი თანხის კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

კლიენტის მხრიდან წარმატებული გადარიცხვის ოპერაციის შესრულების შემდეგ, კომპანიას ეცნობება კლიენტის მოთხოვნის პირობები და თავის მხრივ, განახორციელებს მომსახურების შესრულებას, იგივე საბანკო ანგარიშზე კლიენტის მოთხოვნილი ვალუტის შესაბამისი თანხის გადარიცხვის გზით.

კლიენტი თავისი პროვაიდერი კომერციული ბანკისგან მიიღებს შეტყობინებას საბანკო ანგარიშზე სასურველი ვალუტის მიღებისა და კომპანიის მომსახურების დასრულების შესახებ.

მომსახურების ღირებულება

კომპანიის მომსახურების ღირებულება გამოიხატება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსით, შესაბამისად, კომპანია მომსახურების ღირებულებას დამატებითი საკომისიოს სახით არ აწესებს. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ

ინფორმაციას მომხმარებელი იღებს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ტაბლოზე განთავსებული ინფორმაციით კომპანიისთვის მომსახურებაზე მოთხოვნის გაგზავნამდე და არ აღემატება საყურადღებო კურსის ნიშნულს.

უფლებები და მოვალეობები

კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია კლიენტის შესახებ, იმ შემთხვევებში, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

კომპანია ვებგვერდზე თვალსაჩინოდ განათავსებს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რეგულაციის შესაბამისად, მათ შორის, და არა მარტო:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი;

ბ) ტრანზაქციის გაუქმება და თანხის დაბრუნება შესაძლებელია ტრანზაქციის განხორციელებიდან 30 წუთის განმავლობაში, თუ ტრანზაქციის მოცულობა არ აღემატება 5000 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში;

გ) ვალუტის დასახელება;

დ) ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსი მეათასედის სიზუსტით;

ე) არსებობის შემთხვევაში საკომისიოს ოდენობა და საყურადრებო კურსი.

*საყურადღებო კურსის არსებობის შემთხვევაში, კომპანია იღებს ვალდებულებას, ვებ.გვერდზე კლიენტისთვის თვალსაჩინო ადგილზე განათვასოს **„საყურადღებო კურსი“** - ვალუტის, ყიდვისა და გაყიდვის შესახებ ინფორმაცია, მეათასედის სიზუსტით.*

ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციაზე საკომისიოს დაწესების შემთხვევაში, კომპანია იღებს ვალდებულებას, *ვებ-გვერდზე კლიენტისთვის თვალსაჩინო ადგილზე განათვასოს შემდეგი ინფორმაცია - **„ვიყენებთ საკომისიოს“.***

სისტემის გამოყენება შესაძლებელია ვალუტის ყიდვა - გაყიდვის მომსახურების მისაღებად და განსახორციელებლად მხოლოდ საქართველოში:

კომპანია ვალდებულია დაიცვას კლიენტის მითითებები. იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტისგან მოწოდებულ იქნა არასწორი ინფორმაცია, ხოლო კომპანიამ განახორციელა ვალუტის ყიდვა - გაყიდვის მომსახურება ამ ინფორმაციის მიხედვით, კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ამგვარი მომსახურების შედეგებზე.

მომსახურების მოთხოვნა ჩაითვლება მიღებულად, თუკი კლიენტი განახორციელებს ტრანზაქციას, კონვერტაციის დანიშნულებით,კომპანიის ვებ-გვერდზე ამ დანიშნულებით მითითებულ საბანკო ანგარიშის ნომერზე.

ტრანზაქციის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროების შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია გადასცეს კლიენტის ინფორმაცია, მათ შორის კლიენტის IBAN, იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი მესამე მხარეებს, რომლებიც ჩართული არიან ტრანზაქციის განხორციელებაში, რაც შეიძლება მოიცავდეს კლიენტის საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, ვინც ჩართულია ტრანზაქციაში.

მომსახურების მიღების მოთხოვნა არ შეიძლება გაუქმდეს კლიენტის მიერ, მას შემდეგ, რაც განახორციელა ტრანზაქცია, კომპანიის ანგარიშის ნომერზე და გასულია 30 წუთი ან თუ თანხა აღემატება 5000 ლარის შესაბამის ექვივალენტს.

კლიენტს ეკრძალება:

- ამ შეთანხმების დებულებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა;

- ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან არასწორი ინფორმაციის მიწოდება კომპანიისთვის;

- ნებისმიერი ქმედების განზრახ განხორციელება, რაც დააზიანებს კომპანიის რეპუტაციას.

კლიენტმა კომპანიას უნდა აუნაზღაუროს ყველა ზარალი, ჯარიმა, მოსაკრებელი, ხარჯი, რაც კომპანიას მიადგა ან მიადგება კლიენტის მიერ ამ შეთანხმების მოთხოვნების დარღვევის შედეგად.

კომპანია პასუხისმგებელია ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის სწორად განხორციელებაზე, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით.

არცერთ შემთხვევაში - არც ტრანზაქციის განხორციელებამდე, არც მის პროცესში ან მის შემდეგ, კომპანია არამართლზომიერად არ დაეუფლება კლიენტის ფულს. ამასთან, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ საკუთარ საბანკო ანგარიშის ნომერზე ასახული კლიენტის ფული გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, უფრო კონკრეტულად კი ვალუტის კონვერტაციის მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად.

კომპანიას შეუძლია უარყოს კლიენტის მიერ გადმოცემული მომსახურების მოთხოვნა, თუკი ამას მოითხოვს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ან ნებისმიერი სხვა მიზეზი, რაც სცდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. ასეთ შემთხვევაში კომპანიამ უნდა აცნობოს კლიენტს ამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი ამგვარი შეტყობინება ტექნიკურად შეუძლებელია, ან საჭიროებს არათანაზომიერ ძალისხმევას ან აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულებებით.

კომპანია უფლებამოსილია უარყოს კლიენტის მიერ გადმოცემული მომსახურების მოთხოვნა იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ მოთხოვნილი კონვერტირებადი თანხა არ ხვდება კომპანიის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, კომპანია იღებს ვალდებულებას კონვერტირებადი თანხის ლიმიტის დარღვევის შემთხვევაში, კლიენტს დაუბრუნდება თანხა იგივე ვალუტაში და იგივე საბანკო ანგარიშის ნომერზე, საიდანაც მიიღო მომსახურების მოთხოვნა. თავის მხრივ, კომპანია იღებს ვალდებულებას დადგენილი ლიმიტების შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინოდ განათავსოს ვებ.გვერდზე.

კომპანია უფლებამოსილია უარყოს კლიენტის მოთხოვნა მომსახურების მიღებაზე იმ შემთხვევაში თუ კლიენტის და კომპანიის პროვაიდერი ბანკი არ არის ერთი და იგივე. აღნიშნულ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია კლიენტს დაუბრუნოს თანხა იგივე ვალუტაში და იგივე საბანკო ანგარიშის ნომერზე. არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ ხარჯი, მათ შორის და არა მარტო, საბანკო გადარიცხვის საკომისიო, ანაზღაურდება კლიენტის მიერ.

კლიენტი ეთანხმება, აღიარებს და ესმის, რომ კომპანიის შეუფერხებელი ოპერირება არ შეიძლება იყოს გარანტირებული, რადგან ის დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, კლიენტის ინტერნეტ/მობაილ ბანკზე, სხვა პროგრამულ უზრუნველყოფაზე, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, საოპერაციო სისტემებზე, იმ შეზღუდვებზე, რაც მესამე მხარის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოწყობილობასა თუ კავშირზე, იტერნეტ-მომსახურების ხარისხზე, ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობაზე და ა.შ. კომპანია ვალდებულია, მიმართოს კომერციულად დასაბუთებულ ყველა ზომას, რათა მომსახურება აღადგინოს შეძლებისდაგვარად სწრაფად. ხოლო შეფერხების შესახებ ცხადად განაცხადოს საკუთარ ვებ-გვერდზე და დროებით გათიშოს სისტემა.

წინამდებარე წესები და პირობები შეიძლება შეიცვალოს კომპანიის მიერ.

კომპანიას შეუძლია ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, შეწყვიტოს ან შეაჩეროს კლიენტისათვის მომსახურების მიწოდება თუკი კლიენტი არღვევს ამ შეთანხმებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და/ან თუკი გარემოებები მოითხოვს მომსახურების დაუყოვნებელ შეწყვეტას ან შეჩერებას ან ეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითაა მოთხოვნილი, რა შემთხვევაშიც კლიენტს არ მიეწოდება არანაირი წინასწარი შეტყობინება.

მხარეები თანხმდებიან, დაიცვან კონფიდენციალობა კომპანიის მიერ მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი ინფორმაცია უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომია და/ან გაცხადებას მოითხოვს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

კლიენტი უფლებას აძლევს კომპანიას დაამუშავოს კლიენტის პერსონალური მონაცემები კომპანიის კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

კლიენტი უფლებას რთავს კომპანიას, მიიღოს კომერციულად დასაბუთებული ყველა ზომა, რათა დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, მესამე მხარეებს გადასცეს უშუალოდ (პირდაპირ) ან სრულად (შეუცვლელად) კლიენტის ვინაობის დადგენის მოთხოვნა.

კომპანიას უფლება აქვს ჩაიწეროს და შეინახოს ინფორმაცია, მათ შორის, კლიენტთან ნებისმიერ კომუნიკაციაზე.

ამ შეთანხმების ორივე მხარე პასუხისმგებელია იმ ზარალზე, ჯარიმებზე, ხარჯებზე, გადასახადებზე ან ნებისმიერ სხვა ზიანზე, რაც დადგა ამ შეთანხმების და/ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

კომპანია შეამოწმებს და განიხილავს კლიენტის პრეტენზიებს, კლიენტისა და კომპანიის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და როგორც ეს დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

კლიენტსა და კომპანიას შორის დავა უნდა მოგვარდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოგვარება შეუძლებელია, დავა შესაძლოა გადაიჭრას საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თითოეული მხარე ადასტურებს, რომ მას გააჩნია სათანადო უფლებამოსილება და კომპეტენცია, რომ წაიკითხოს, გონივრული განსჯის შედეგად დაეთანხმოს და აღასრულოს ეს შეთანხმება.

თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კლიენტს არა აქვს უფლება დაუთმოს (გადასცეს) რომელიმე თავისი უფლება და მოვალეობა მესამე მხარეებს. ნ.

ამ შეთანხმებით თითოეული მხარისათვის წარმოშობილი უფლებები და მოვალეობები პირადია შესაბამისი მხარისათვის და მესამე მხარე ვერ დაეყრდნობა მათ.

თუკი ამ შეთანხმების რომელიმე დებულება გახდება ან დადგინდება ძალადაკარგულად, შეთანხმება დარჩება ძალაში, თუკი სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაში რჩება მომსახურების დასრულებამდე ამ შეთანხმების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

შესავალი

კონფიდენციალურობის პოლიტიკა (შემდგომში „პოლიტიკა“) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის განსაზღვრული წესით და ფარგლებში, შპს „კურსი.ჯი“-ს 405031040) (შემდგომში - „კომპანია“ ან/და „ჩვენ“) მიერ პერსონალური მონაცემების (შემდგომში - „მონაცემები“) დამუშავების გამჭირვალობას, თქვენთვის ფინანსური პროდუქტის მოწოდების მიზნით ან/და შემდგომში გარიგების დასადებად. კომპანია პასუხისმგებლობით ეკიდება თქვენი პერსონალური მონაცემების და კონფიდენციალური მონაცემების (მათ შორის და არა მარტო, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს, ფინანსურ ინფორმაციას, ინფორმაციას გადარიცხვების შესახებ) დაცვის საკითხს და ვესწრაფით დავიცვათ არა მარტო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, არამედ, ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით. კომპანიის მომსახურების წვდომით და/ან გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით და ადასტურებთ, რომ გაეცანით და გონივრულის განსჯის შედეგად ეთანხმებით მოცემულ პოლიტიკას.

კომპანია უფლებამოსილია, მოახდინოს ამ პოლიტიკის მოდიფიცირება საკუთარი შეხედულების საფუძველზე, ნებისმიერ დროს, ვებგვერდზე მისი გამოქვეყნებითა თუ კლიენტისთვის მისი სხვაგვარად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. ამ პოლიტიკის განახლებული ვერსია ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე.

ინფორმაცია რომელსაც ვაგროვებთ

პერსონალური მონაცემები:

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რომელთაც თქვენ მოგვაწვდით მომსახურების მოთხოვნის პროცესში, ჩვენი მომსახახურების მიღების მიზნით. მონაცემები შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაცია პიროვნების შესახებ, მათ შორის სახელი, გვარი;
- საგადახდო ინფორმაცია, მათ შორის საბანკო ანგარიშის ნომერი, ან ინფორმაცია - გადარიცხვის - შესახებ;

ჩვენ ვამუშავებთ, მათ შორის, ვაგროვებთ და ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, წინამდებარე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე და ამავე კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, კომპანიის მიერ თქვენი მონაცემების დამუშავების საფუძველია მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულება, თქვენთვის მომსახურების მიწოდების მიზნით გარიგების დადება და კომპანიის ლეგიტიმური ინტერესი. ამასთან, თქვენი მონაცემების დამუშავება პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით.

სხვა ინფორმაცია (გარდა პერსონალური მონაცემებისა):

კომპანია იყენებს Cookie ფაილებს. Cookie არის ფაილი, რომელიც გადმოიწერება და ინახება თქვენს მოწყობილობაზე, როდესაც თქვენ სტუმრობთ ჩვენს ვებ.გვერდს. მასში მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული ვიზიტორის და ვებ-გვერდის შესახებ.

ჩვენ ვაგროვებთ დეტალებს თქვენი ვიზიტების შესახებ ჩვენს ვებ.გვერდზე, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ტრაფიკის მონაცემებს, მდებარეობის მონაცემებს, ვიზიტის ხანგრძლივობას, გვერდის ნახვების რაოდენობას, სხვა საკომუნიკაციო მონაცემებს. ამასთან, სერვისებს, რომლებზეც თქვენ გაქვთ წვდომა და ინფორმაციას თუ როგორ იყენებთ მათ. ვამუშავებთ ინფორმაციას თქვენი IP მისამართის შესახებ, რომელსაც ავტომატურად ვიღებთ.

აღნიშნული ინფორმაცია ანონიმურია და გროვდება ვებგვერდის გამოყენების გასაუმჯობესების და მარკეტინგული მიზნებისთვის. ჩვენს მიერ გამოყენებული Cookies ფაილები, არ ინახავს პერსონალურ მონაცემებს, რითიც შესაძლებელია თქვენი პირადპირი იდენტიფიცირება. მოგროვებული მონაცემები არ გადაეცემა მესამე პირებს, გარდა ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მონაცემების გამოყენება

ჩვენ ვიყენებთ თქვენგან შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნით:

- თქვენ და ჩვენ შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების მიზნით;
- მომსახურების განსახორციელებლად;
- მომსახურების და ვებ.გვერდის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად;
- მარკეტინგული მიზნებისთვის;
- იურიდიული და მარეგულირებლის მოთხოვნების შესაბამისად.

მონაცემების გამჟღავნება

ჩვენ შეგვიძლია თქვენი მონაცემები გადავცეთ მესამე მხარეებს, შემდეგი მიზნით:

- ფინანსურ ინსტიტუციებსა და საგადახდო სისტემებს გადახდების დამუშავების მიზნით;
- მომსახურების პროვაიდერებს, რომლებიც გვეხმარებიან მომსახურების განხორციელებაში;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- იურიდიული და მარეგულირებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მონაცემების შენახვა

ჩვენ მომსახურების მომხმარებლებისგან მიღებულ პირად მონაცემებს ვინახავთ, მანამდე, ვიდრე ეს აუცილებელია იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც ისინი შეგროვდა, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ან ჩვენი იურიდიული ვალდებულებებიდან გამომდინარე.

ჩვენ ვინახავთ თქვენგან მოპოვებულ ინფორმაციას და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგებს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე და კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული ხანდაზმულობის, კერძოდ 5 წლის ვადით.

თქვენი უფლებები

რაც შეეხება თქვენს პერსონალურ ინფორმაციას, თქვენ გაქვთ უფლება მოგვთხოვოთ:

დადასტურება იმის შესახებ მუშავდება თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემები, დამუშავების საფუძვლის, მიზნისა და შენახვის ვადების მითითებით;

- გაეცნოთ თქვენს შესახებ შეგროვებულ პერსონალურ მონაცემებს;
- მოითხოვოთ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება;
- მიიღოთ თქვენს შესახებ შეგროვებული პერსონალური მონაცემების ასლები (არსებობის შემთხვევაში);
- მოითხოვოთ თქვენს შესახებ ჩვენთან არსებული პერსონალურ მონაცემთა დაბლოკვა (არსებობის შემთხვევაში);
- მოითხოვოთ თქვენ მიერ გაცემული თანხმობის გამოხმობა;
- ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავით გარანტირებული სხვა უფლებების რეალიზება;

უფლებების შეზღუდვა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;

- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვისათვის გათვალისწინებული ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.უფლების შეზღუდვის საფუძვლების არსებობისას, ორგანიზაციის გადაწყვეტილება მონაცემთა სუბიექტს ეცნობება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს უფლების შეზღუდვის მიზანს.

უსაფრთხოების ზომები

ჩვენ უზრუნველვყოფთ ყველა ზომას მონაცემთა დაცვისთვის, რაც აუცილებელია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ საქართველოს კანონით და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მკაცრად არის დაცული და მხოლოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს აქვთ უფლება საჭიროების შემთხვევაში იქონიონ წვდომა. ამ თანამშრომლებს აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, რაც მათი სამუშაო კონტრაქტის შემადგენელი ნაწილია.

ჩვენ მივიღებთ აუცილებელ და საკმარის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, რათა დავიცვათ თქვენი ინფორმაცია არაავტორიზებული ან შემთხვევითი წვდომისგან, განადგურებისგან, მოდიფიკაციისგან, დაბლოკვის, კოპირების, გავრცელებისგან, ასევე მესამე მხარის სხვა უკანონო ქმედებებისგან.

ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი ჰაკერების, თავდამსხმელების და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებით განპირობებული თქვენი პერსონალური მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვაზე.

დაგვიკავშირდით

თუკი გაქვთ შეკითხვები წინამდებარე წესებსა და წირობებზე, კონფიდენციალურობის პოლიტიკისა თუ მონაცემების დაცვის ჩვენეულ პრაქტიკასთან დაკავშრებით, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@foxtrading.ge